

## სახელმწიფო ენა და ადგილობრივი ყრუთა თემი<sup>1</sup>

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ჟესტური ენა, რომელიც დამოუკიდებელი ბუნებრივი ენაა და არ გახლავთ ქართული სამეტყველო ენის კოპირებადი ვერსია. ამიტომაც ეს ენა არის საერთაშორისო ინტერესის საგანი. ეს არის ერთიანი ქართული ჟესტური ენა, რომელსაც აქვს ინდივიდუალური, ანუ კერძო გრამატიკული სისტემა.

რაც შეეხება ადგილობრივ ყრუთა თემს, სამწუხაროდ, ყრუთა განათლების საკითხები სერიოზულ სამუშაოს საჭიროებს და აქ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა, რაც პირდაპირ აისახება ამ თემის წევრების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) პირად ცხოვრებაზე, მათ კარიერულ და პროფესიულ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელმწიფო ენა - ქართული სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ჟესტურ ენაზე. მნიშვნელოვანია, საქართველოში მცხოვრებ ყრუთა თემმა კარგად შეისწავლოს ქართული ენა და მიეცეს საშუალება, რომ მოხდეს ამ თემის რეალური ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში. ამისათვის საჭიროა, რომ ქართულ ჟესტურ ენაზე მომზადდეს ქართული ენის ადაპტირებული სასწავლო მასალები. მუშაობის პროცესში, გასათვალისწინებელი იქნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის რეკომენდაციები და განახლებული ნორმები.

ცხადია, რომელიმე ერთი პროექტის ფარგლებში ვერ შეიქმნება ქართული ენის სასწავლებელი სრულყოფილი და ამომწურავი მასალა, რადგანაც ეს უფრო დიდი სამუშაოა და მეტი დრო და რესურსი სჭირდება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების გაკეთებას, რასაც ჩვენ ვგეგმავთ სამომავლოდ. მიმდინარე ეტაპზე კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყრუთა აგრამატიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების მოგვარება. კერძოდ, პირველ ეტაპზე უნდა გამოვავლინოთ ყრუთა თემში არსებული ქართული ენის წერილობითი კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი შედარებით გავრცელებული პრობლემები და სწორედ ამ საკითხების დამუშავება და ქართულ ჟესტურ ენაზე ადაპტირებული თარგმანი მოიაზრება უპირველეს ამოცანებად. წინასწარი მონაცემებით, ცნობილია გარკვეული საკითხები, რაც ქმნის ყრუთა აგრამატიზ-მის ძირითად პრობლემებს. ეს არის ბრუნვათა სისტემა, ზმნური აქტანტების ფორმები, ზმნის სტურქტურა, ერგატიული

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [ FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

კონსტრუქცია და სხვ. უფრო მეტი სიზუსტისთვის, საჭიროა აგრამატიზმის დეტალური საკითხების გამოვლენა.

დაგეგმილი კვლევის მასალები განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანი იქნება ყრუთა სკოლებისათვის. ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ყრუთათვის ხელმისაწვდომი რაიმენაირი ღირებული სასწავლო რესურსი სახელმწიფო ენის ასათვისებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მასალები ასევე გამოდგება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. ამრიგად, ეს მნიშვნელოვანი რესურსია ყრუთა განათლების სისტემისათვისაც და გარკვეული თვალსაზრისით, გზამკვლევიცაა ყრუთა განათლების სისტემაში.

დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია არის შემდეგი სტრუქტურის: I ეტაპზე ხდება მონაცემთა შეგროვება - ყრუთა ქართულენოვანი ჩანაწერების შეგროვება, შემდეგი ეტაპია ამ მასალათა გაანალიზება და ამ თემში არსებული აგრამატიზმის ძირითადი საკითხების გამოყოფა. მომდევნო ეტაპი მოიცავს სასწავლო საკითხების ადაპტირებულ დამუშავებას და ბოლო ეტაპი გულისხმობს ქართულ ჟესტურ ენაზე სასწავლო მასალებისა და სათანადო ლინგვისტური რეკომენდაციების მომზადებას. ასევე დაგეგმილია სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით ტრენინგის ჩატარება ყრუთა თემში. ამ კვლევის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი კი, საფუძვლად დაედება სახელმწიფო ენის დაცვას, განვითარებას, მის სრულფასოვან ფუნქციონირებასა და პოპულარიზაციას ზემოთ აღნიშნული თემის წევრებს შორის.

საბოლოო პროდუქტი იქნება ქართულ ჟესტურ ენაზე წარმოდგენილი ქართული ენის სასწავლო მასალები. ეს იქნება ვიდეორგოლები, რომლებიც განთავსდება ილიაუნის ვებგვერდზე. ეს მასალა ღია წვდომის იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ცხადია, პირველ რიგში, შექმნილი პროდუქტი ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი ყრუთა თემისთვის. ამ პროექტს პირდაპირი გავლენა ექნება სახელმწიფო ენის დაცვასა და გავრცელებაზე, მის სრულფასოვან ფუნქციონირებას და პოპულარიზაციაზე, რადგანაც ყრუთა თემში ქართული ენის სასწავლო მასალების გავრცელება სწორედ ამ მიზნებს ისახავს. პროექტის პრაქტიკული ეფექტი თავს იჩენს პროექტის დასრულებიდან გარკვეულ პერიოდში, როდესაც ყრუთა თემის წევრები შეძლებენ საიტის ვიდეორგოლებით სარგებლობას. პროექტის დადებითი ეფექტი კი აისახება სოციალურ ქსელებში ყრუთა წერლობით კომუნიკაციებში და ასევე სხვადასხვა დაწესებულებებში ყრუთა წერილობითი სახის კომუნიკაციის პროცესებში.

პარალელურად, შეიქმნება სახელმწიფო ენის სასწავლო მასალების მონაცემთა ბაზა ქართულ ჟესტურ ენაზე. ეს ბაზა შემდგომში გამოყენებული იქნება ყრუთა განათლების სისტემაში.

**Tamar Makharoblidze**  
*Iliia State University*

**State Language and local Deaf community<sup>2</sup>**  
Abstract

---

<sup>2</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) OFR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology]

The deaf community living in Georgia unites about 2500 people. Deaf people living on the territory of Georgia are a linguistic minority. The communication language of this community members is Georgian Sign Language - GESL. One of the big problems that the members of this community are very worried about is that a large part of the members of this community do not know well or very poorly know the state language - Georgian spoken language. Due to lack of adequate knowledge of the Georgian language, Deaf people avoid written communications even in social networks and prefer to communicate only with each other in GESL. We present the project, the purpose of which is to teach the Georgian language to the Deaf community living in Georgia and to enable the real integration of this community into the civil society. For this, it is necessary to prepare teaching materials of the spoken Georgian language in GESL. In the process of work, of course, the recommendations of the State Language Department and updated norms will be taken into account.

Materials of this type, which will be created as a result of the implementation of the project, will be especially valuable and important for deaf schools. Unfortunately, in our country, until now, no valuable educational resources have been created for deaf people to learn the state language. The materials created within the framework of the project will also be used to create Georgian language textbooks for the deaf. Research methodology is directly derived from research goals and objectives. At the first stage, data is collected - the Georgian-language records of the Deaf are collected, then the materials are analyzed and the main issues of agrammatism in this community are identified. The next stage includes the adaptive processing of these issues and the preparation of teaching materials and appropriate linguistic recommendations in Georgian Sign Language. This is, in fact, the first project that will make the state language accessible to the deaf community in Georgia. This type of project has not been implemented in our country, and that is why the language problem and existing agrammatism for the local deaf community are still a serious barrier in the process of civil integration. The relevance of the project stems from this.